# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში“ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| **თავმჯდომარე: ნინო ვასაძე** |
| **წევრები: ეკატერინე გიგაშვილი** |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---ნ.ვასაძე---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების  სახელწოდება: შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პაუსიხმგებლობის მქონე საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 405337880

**სახე**:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

***<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>***

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

## საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 10 თებერვლის #152958 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნინო ვასაძე, წევრი - ეკატერინე გიგაშვილი დაევალა ვიზიტი შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯში“ მისამართი: (ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა №80)მიმდინარე წლის 27 თებერვალს,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N○99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით. კოლეჯი შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯში“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს ამავე მისამართზე, მეორე სართულზე. კოლეჯი გაფართოვდა და მიმდინარე წარმოების ფარგლებში შევამოწმეთ ახალი ფართი მეხუთე სართულზე. არაგეგმიური მონიტორინგისას ჩვენი ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა მეხუთე სტანდარტის პირველი და მეორე კომპონენტების შემოწმება. ვიზიტის განხორციელებამდე დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი დაწესებულებასთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---ნ.ვასაძე---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

ვიზიტის დროს გავესაუბრეთ კოლეჯის დირექტორს, ხარისხის მართვის მენეჯერს და სხვა დასაქმებულ თანამშრომლებს. დავათვალიერეთ მატერიალური რესურსი შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის. სამართლებრივ, ფლობის დამადასტურებელ და სახის დოკუმენტებს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ადგილზე, რადგან წარმოების სახიდან გამომდინარე დაწესებულებას წინასწარ არ ჰქონდა დოკუმენტაცია წარმოდგენილი.

## V. ავტორიზაციის მე-5 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | | **სრულად შეესაბამება** |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | | მეტწილად შეესაბამება |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | | სრულად შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

## VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*არ დაფიქსირებულა.*

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა *(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)*

*არ გაცემულა.*

## VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა.

## IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*5.1.2.1 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან.*

## X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

5.1.1.11 *რეკომენდირებულია , გამდიდრდეს კოლეჯის ბიბლიოთეკა თანამედროვე ლიტერატურით.*

5.1.2.4 *რეკომენდირებულია, განთავსდეს გამაფრთხილებელი წარწერები ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ.*

5.2.2.1 *ექსპერტთა განმავითარებელი რეკომენდაციაა, Eflow-ს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში ანგარიში გაიხსნას კოლეჯის სხვა თანამშრომლებისთვისაც, რათა რევიზირება და დავალებების გაცემა გახდეს უფრო მოქნილი.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

## XI. სტანდარტების შეფასება

**5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

**5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**5.1.1** პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯს“ 2022 წლის 29 დეკემბრის #06/98 იჯარის ხელშეკრულებით 2033 წლის 1 იანვრამდე აქვს დროებითი სარგებლობის უფლებით შპს ნოვამედისგან ქ.მარნეულში 26 მაისის ქ. #80 შპს ნოვამედის მეხუთე სართულზე მდებარე 728,30 კვ.მ ფართი,საკადასტრო კოდი 83.02.18.604.01.509 და 854,61 კვ.მ ფართი ს/კ 83.02.18.606.01.509. , აღნიშნული ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ აღნიშნული ფართებიდან ამ ეტაპზე ათვისებულია და გარემონტებულია 1200 კვ.მ ფართი, ხოლო დანარჩენი ფართის გამოყენებას კოლეჯი მოგვიანებით აპირებს. ამ ეტაპზე დაწესებულებამ წარმოადგინა მეხუთე სართულის განლაგების გეგმა, რომელშიც გალაგებულია: ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, ადმინისტრაციის კაბინეტები, 2A გარემო და 4 A-C გარემო, რომელშიც განთავსებულია კომპიუტერები და შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც B გარემო. ასევე გამოყოფილია ორი სტუდენტური სივრცე, სივრცე არქივისთვის, საგარდერობე ოთახი და სველი წერტილები , მათ შორის შეზუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. შენობაში ფუნქციონირებს ლიფტი, რომლითაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს შეუძლია გადაადგილება. დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა ასევე მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მატერიალური რესურსის ფლობა დასტურდება ვიზუალური დათვალიერებითაც. **ექსპერტთა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

**შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკამყოფილებულია და დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.**

**2.** კოლეჯში  დამტკიცებულია „მატერიალური რესურსის გამოყენების წესი“, რომელიც ასევე განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. აღნიშნული წესის მეორე მუხლით რეგულირდება კოლეჯის მატერიალური რესურსით სარგებლობა, მათ შორის პროფესიული სტუდენტებისთვის. აღნიშნული წესის თანახმად, პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ არსებული მატერიალური რესურსით, ბიბლიოთეკით, საერთო სივრცეებით და ა.შ. ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯს გაწერილი აქვს მექანიზმი. **შესაბამისად, არსებული მექანიზმი იძლევა შესაძლებლობას დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომი იყოს პროფესიული სტუდენტებისთვის.**

**3.** დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ერთ დამლაგებელთან, რომელიც ზრუნავს შენობის სისუფთავეზე. დალაგება ხდება სველი წესით წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით. კოლეჯის შენობაში არის სისუფთავე და წესრიგი, რაც დადასტურდა ვიზუალური დათვალიერებითაც. ექსპერტთა მიერ ადგილზე გადამოწმდა სველი წერტილების,დერეფნის, სხვადასხვა სივრცეების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.**

**4.** კოლეჯში დაქსელილია ცენტრალური გათბობა, დაწესებულებამ წარმოადგინა სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ექსპერტების მიერ ვიზიტისას ვიზუალურად დათვალიერდა ცენტრალური გათბობის სისტემა, გათბობის ქვაბი, გაზის მრიცხველი, თუმცა ვიზიტის პერიოდში დაწესებულება სრულად არ იყო უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით და შენობაში არ იყო სითბო. კოლეჯის დირექტორმა განაცხადა, რომ აღნიშნული პრობლემა გამოწვეული იყო იმით, რომ სისტემა იყო ახალი და საჭიროებდა ჰაერის გამოშვებას. ექსპერტთა ვიზიტის დასრულებამდე აღნიშნული პრობლემა მოგვარდა და გათბობის სისტემა ჩაირთო. **ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯში შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია  ცენტრალური გათბობის სისტემით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**5.** შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 15 ივლისის #01-37 ბრძანებით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია, ხოლო 2021 წლის 17 მაისის #01/25 ბრძანებით სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და უსაფრთხოების წესი აღნიშნული წესის მიხედვით შრომით უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პირთან, რომელიც კოლეჯში ახორციელებს აღნიშნულ მოვალეობას. ექსპერტების მიერ ვიზიტისას გადამოწმდა აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებულის პირადი საქმე, როგორც აღმოჩნდა აღნიშნულ პირს ჰქონდა ვადიანი სერტიფიკატი, რომელიც წარმოდგენილ იქნა ექსპერტებისთვის ვიზიტისას. კოლეჯს ემსახურება კანონმდებლობის შესაბამისად სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. **ექსპერტთა შეფასებით, სტანდარტის აღნიშნული კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია და დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.**

**6.** კოლეჯს შემუშავებული აქვს „მატერიალური რესურსის გამოყენების წესი“,. აღნიშნული წესის მეორე მუხლით განსაზღვრულია ის პროცედურები, რაც უნდა განხორციელდეს კოლეჯის მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ახალი პროგრამის დამატების შემთხვევაში ან ზოგადად კოლეჯის სრულფასოვნად ფუნქციონირებისთვის საჭირო რესურსების ჩამონათვალს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს, რომელიც აღნიშნულ ჩამონათვალს უგზავნის ფინანსურ სამსახურს, რომელიც არსებული მატერიალურ ტექნიკური ბაზის შესწავლის გზით ახდენს საჭირო რესურსების ჩამანათვალის დადგენას, შესყიდვისთვის საჭირო ყველა პროცედურის ორგანიზებას, რის შესახებაც ინფორმაციას სიტყვიერად ან წერილობით აწვდის კოლეჯის დირექტორს, შემდგომი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.**

**7.** კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 17 მაისის #01/25 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა“. აღნიშნული წესის თანახმად მოწმდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობა არსებული პროგრამებით მოთხოვნილ საჭირო მატერიალურ რესურსთან, ასევე დამტკიცებულია „სასწავლო ფართზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

მატერიალური რესურსის მართვის,სარგებლობისა და განკარგვის წესის“ მეხუთე მუხლით რეგულირდება „მატერიალური რესურსის გამოყენების წესი“,. აღნიშნული წესის თანახმად, მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებული პროცესებს კოორდინირებას უწევს ფინანსური სამსახური. **ექსპერტთა შეფასებით, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.**

**8.** მარნეულის სამედიცინო კოლეჯს აქვს ცალკე გამიჯნული საპირფარეშოები მამაკაცებისთვის და ქალებისთვის. თითოეულში არის კაბინები, ასევე არის 1 საპირფარეშო შშმ პირებისთვის. სანიტარული კვანძები მარაგდება წყლით, დამონტაჟებულია ხელსაბანები, გათბობა და ვენტილაცია. არის მოწესრიგებული და სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა დაიცვან პირადი ჰიგიენა, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**9.** კოლეჯის სასწავლო ფართი არის ნათელი, აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. თითეულ სასწავლო გარემოს აქვს ფანჯარა. კოლეჯში განსაზღვრულია ბიბლიოთეკისა და სამკითხველო დარბაზისთვის ერთი სივრცე. აღნიშნულ ფართსაც აქვს ფანჯრები და სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა იმუშაონ გარემოში. მთელ შენობაში სრულად არის მოწესრიგებული ელექტროობის სისტემა და დამონტაჟებულია ნათურები, რომელიც ნათდება სასწავლო გარემოსთვის შესაბამისი სიმძლავრით. **ექსპერტთა შეფასებით, ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.**

**10.** . მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ფართში, რომელიც განთავსებულია მეხუთე სართულზე დაგეგმიილია ოთახების განაწილება, სართულს აქვს დერეფანი, რომლითაც ოთახები უკავშირდება ერთმანეთს, ყველა ოთახს აქვს ინდივიდუალური შესასვლელი და არ გადის ერთმანეთში ოთახები. სველი წერტილები და სანიტარული კვანძები მდებარეობს მარჯვენა ნაწილში. შემოსასვლელის მიმდებარედ არის გარდერობის ოთახები, ასევე ადმინისტრაციის ოთახები. შენობაში ორიენტაცია მარტივია, მათ შორის შშმ პირებისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

**11.** კოლეჯს აქვს ინვენტარი სრულად უზრუნველყოფილი, ბიბლიოთეკაში მოწყობილია სამუშაო სივრცეები, სადაც სტუდენტები შეძლებენ მუშაობას. დგას ერთი კომპიუტერი. კოლეჯის ბიბლიოთეკის მატერიალური რესურსი არის ძალიან მწირი. მიზანშეწონლია გამდიდრდეს თანამედროვე ლიტერატურით. წარმოდგენილი რესურსი დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, კოლეჯის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში დგას მაგიდა და სკამები, შექმნილია სტუდენტებისთვის სამუშაო გარემო. ექსპერტთა შეფასებით, **მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

*ექსპერტთა განმავითარებელი რეკომენდაციაა, გამდიდრდეს კოლეჯის ბიბლიოთეკა თანამედროვე ლიტერატურით.*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობის აზომვითი ნახაზი;
- შესყიდვის ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები;
- „სასწავლო ფართზე მატერიალური რესურსის გამოყენების წესი“
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის წესი;
- შრომის უსაფრთხოების წესი
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

**5.1.2** პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა შპს საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრის მიერ 2020 წლის 26 ოქტომბერს გაცემული #51 საექსპერტო დასკვნა, რომლითაც დასტურდება რომ მარნეულის 26 მაისის #80 ში მდებარე შვიდსართულიანი შენობა მდგრადია და აკმაყოფილებს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა კოლეჯის დირექტორის 29 ნოემბრის #01/67 ბრძანებით, კოლეჯში გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, შენობა აღჭურვილია ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის სისტემით. კოლეჯი უზრუნველყოფს 6 თვეში ერთხელ თანამშრომლების გადამზადებას საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებით. კოლეჯში მეხუთე სართულზე ამ ეტაპისთვის არ არის დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, თუმცა ვიზიტისას დაწესებულებამ გამოხატა მზაობა, დაეწყო აღნიშნული პრობლემის მოგვარება და 2023 წლის 27 თებერვლის #1830 წერილით მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სამსახურს, რომ შეემოწმებინა სახანძრო უსაფრთხოების ნორმები მეხუთე სართულზე. **თუმცა მიუხედავად ამისა, ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ 2023 წლის 20 მარტს გაცემული სახანძრო ტექნიკური შემოწმების აქტი #44 , რომლიდანაც ირკვევა რომ დაწესებულების შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. კერძოდ, საჭიროა თანამშრომლებისთვის ინსტრუქტაჟის ჩატარება სახანძრო უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით; საევაკუაციო კიბის უჯრედში დასამონტაჟებელია ავტონომიური კვების ავარიული განათება; საევაკუაციო გეგმები არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს და შესაცვლელია. კოლეჯმა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 27 მარტის #2776 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მეხუთე სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის დამტკიცების შესახებ“, წარმოდგენილი გეგმის თანახმად, დაწესებულება გეგმავს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას 3 თვის ვადაში. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა შემოსული დოკუმენტაცია. სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით აღნიშნული ღონისძიებების გატარება სავსებით შესაძლებელია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში. **არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე შეიცვალა ექსპერტთა შეფასება და აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან.*

2. კოლეჯს დამტკიცებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 17 მაისის #01/25 ბრძანებით. ასევე გაფორმებული აქვს 2022 წლის 13 დეკემბერს #05/29 ექიმთან ერთი წლის ვადით. ექიმის პოზიციაზე აყვანილი პირის დოკუმენტაცია შესაბამისობაშია საკვალიფიოკაციო მოთხოვნებთან, პროფესიით არის პედიატრი და გავლილი აქვს სხვადასხვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

მიმართულებით გადამზადება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ექიმის კაბინეტი განთავსებულია მეორე სართულზე, ხოლო მეხუთე სართულზე არის პირველადი დახმარების ყუთი. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მეხუთე სართულის ფართისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის მიერ. სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე~ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370-ე დადგენილების შესაბამისად გამოყოფილია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც აკისრია ხანძარ საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. კოლეჯში წესრიგის დაცვის მიზნით გაფორმებულია ობიექტის დაცვის ხელშეკრულება#06/28 შპს „ალგანთან"რომლებიც უზრუნველყოფონ შენობაში წესრიგის დაცვას. კოლეჯის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამოტაჟებულია ვიდეოკამერები და მიმდინარეობს ჩაწერა. კამერების ფუნქციონირება გადამოწმდა ექსერტთა მიერ ადგილზე ვიზიტისას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დერეფნებში არ არის გამოკრული გაფრთხილება იმის შესახებ, რომ მიმდინარეობს ვიდეო ჩაწერა. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

*<u>ექსპერტთა განმავითარებელი რეკომენდაციაა, განთავსდეს გამაფრთხილებელი წარწერები ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ.</u>*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია“;
- ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება და სამუშაო აღწერილობა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- შპს „ალგანთან“ გაფორმებული ხელშეკრულება;
- ვიზუალური დათვალიერება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**5.2 საინფორმაციო რესურსები**

**5.2.1** პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

*1.* კოლეჯი სრულად არის აღჭურვილი სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის საჭირო შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით. დაწესებულებაში არსებული პროგრამული უზრუნველყოფა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. პსდ-ს გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება ინტერნეტმომსახურების შესახებ "ჯენეტ"-თან, რომლის ხანგრძლივობა შეადგენს ერთ წელს 2021 წლის 01.08.2020. ამავე ხელშეკრულების 4.2 პუნქტის თანახმად თუ მხარეების მხრიდან 30 დღით ადრე არ იქნება წერილობითი მიმართვა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულება ჩაითვლება ავტომატურად გაგრძელებულად. ასევე დომენის ფლობის შესახებ დაწესებულების მერ წარმოდგენილია ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და საფასურის გადახდის სტატისტიკა . **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. არსებული დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება რომ: დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას, ამისათვის დაწესებულებაში შექმნილია კომპიუტერული ქსელი, ხდება მისი მართვა და სისტემატიური განახლება, მისი უსაფრთხოების დაცვა, ახალი მომხმარებლების ჩართვისათვის საჭირო სამონტაჟო და პროგრამული სამუშაოების ჩატარება; ხორციელდება ოფიციალური ვებ–გვერდის მუდმივი განახლება, მასალების მომზადებაში მონაწილეობის მიღება და ვებ–გვერდზე განთავსება; კომპიუტერული ტექნიკისათვის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია,სისტემური და პროგრამული დარღვევების აღმოფხვრა, ვირუსებისგან გაწმენდა, კომპიუტერული ტექნიკის მოდერნიზაცია და რემონტი; კომპიუტერული ლაბორატორიების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა; პრეზენტაციებისათვის,სხვადასხვა ღონისძიებებისათვის შესაბამისი აპარატურის მომზადება და გამართული ფუნქციონირება; საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვა კოლეჯში ხორციელდება „მატერიალური რესურსის გამოყენების წესის" შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ და განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3. კოლეჯს შემუშავებული აქვს ''პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები'', რომელიც დამტკიცებულია შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ დირექტორის 2021 წლის 20 სექტემბრის #01/55 ბრძანებით და შესაბამისობაშია ''პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონთან. დოკუმენტით განსაზღვრულია რეგულაციის მოქმედების სფერო, მონაცემთა დამუშავების პრინციპები და საფუძვლები, ინფორმაცია განსაკუთრებულ და ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავების შესახებ, ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ და სხვა დამატებითი ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით. მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის ზომები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. გარდა ამისა, დაწესებულების ''პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის წესი'', პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან მიმართებაში, მოიცავს ჩანაწერს, რომელიც ეხება კოლეჯში ვიდეოთვალთვალის განხორციელებას. ვიდეოთვალთვალის განხორციელება დაწესებულებაში მიმდინარეობს მხოლოდ დანაშაულის თავიდან აცილების, აგრეთვე პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების, საზოგადოებრივი წესრიგისა და არასრულწლოვანის მავნე ზეგავლენისგან დაცვის მიზნებისთვის. დაწესებულების რეგულაციის თანახმად, გარკვეული მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ვიზიტისას გავესაუბრეთ კოლეჯის იურისტს, რომელმაც აღნიშნა, რომ გასაცემ ინფორმაციაში ახდენს პერსონალური მონაცემების გადაფარვას. იურისტის მიერ ექსპერტიზის განხორციელების შემდგომ გასცემს საქმისმწარმოებელი დოკუმენტს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებულია კვლევა ტექნიკით სარგებლობის შესახებ, კითხვარი განთავსებული ვებგვერდზე-სტუდენტთა დამოკიდებულების კვლევა სწავლა სწავლების პროცესში, აღნიშნული კითხვარი მოიცავს ინფორმაციას სტუდენტთა მიერ რესურსების მართვასა და გამოყენებასთან დაკავშირებით, ასევე IT ტექნოლოგიების გამოყენების პროცესში. დაწესებულებაში საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის განვითარება ხორციელდება კოლეჯის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე. IT სისტემის შეფასებასა და არსებულ ხარვეზთა გამოსწორებასთან დაკავშირებით, კოლეჯის ''მატერიალური რესურსების განკარგვის წესის მიხედვით'' სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირი პერიოდულად წარმოადგენს ანგარიშს ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების შესახებ, მათი გამოსწორებისა და ოპტიმიზაციის რეკომენდაციებთან ერთად. დაწესებულების რეგულაციის თანახმად, IT სპეციალისტი, ქსელის ადმინისტრატორი ვალდებულია უზრუნველყოს კოლეჯის საოფისე კომპიუტერული აპარატურის დაზიანების შემთხვევაში ცალკეული დიაგნოსტიკა და ოპერაციული შეკეთება, ხოლო შეკეთების შეუძლებლობის შემთხვევაში შესაბამისი დასაბუთებული მოთხოვნით უშუალო ხელმძღვანელის ინფორმირება და შუამდგომლობით მიმართვა სერვის ცენტრში შეკეთების თაობაზე.

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ „მატერიალური რესურსის გამოყენების წესის“ თანახმად, კოლეჯის განკარულებაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვა, შენახვას, განვითარებასა და გამოყენების პროცესის მართვას, ფინანსურ მენეჯერთან კოორდინაციით. აღნიშნული დასტურდება IT სპეციალისტთან გასაუბრებითაც. აღნიშნულმა პირმა ინტერვიუში განაცხადა, რომ რეგულარულად ამოწმებს სისტემის და არსებული კომპიუტერული აღჭურვილობის გამართულობას, საჭიროების შემთხვევაში ახალი ინვენტარის შესყიდვის მოთხოვნით მიმართავს ფინანსურ მენეჯერს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.** დაწესებულების რეგულაციის თანახმად, კოლეჯში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურეობა ხელმისაწვდომია კოლეჯის პერსონალისა და სტუდენტებისათვის. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა, განთავსებულია სასწავლო გარემოებში, ბიბლიოთეკასა და სამუშაო ოთახებში. ასევე ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო, ისე კაბელიანი ინტერნეტი. ''მატერიალური რესურსის გამოყენების წესის'' თანახმად, კოლეჯის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს უფლება აქვთ ისარგებლონ კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით, ასევე საბიბლიოთეკო რესურსებით, რომლებიც დაწესებულების ''საბიბლიოთეკო წესის'' თანახმად ასევე მოიცავს კომპიუტერულ ტექნიკას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას შემუშავებული აქვს გარკვეული მექანიზმები რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალისათვის ინფორმაციული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და მომსახურების **შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. კოლეჯი კომუნიკაციის მიზნით, იყენებს ელ-ფოსტის მისამართებს. ასევე კოლეჯში გამოიყენება შემდეგი ელექტრონული სერვისები და სისტემები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება შესაბამისი ჯგუფების (სტუდენტების/პერსონალის) ინფორმირება. როგორებიცაა: დაწესებულების ოფიციალური დომეინით ამოქმედებული ვებ-გვერდი, სოციალური გვერდი. მათი საშუალებით კოლეჯი უზრუნველყოფს პროფეიულ სტუდენტთა და პერსონალთა ერთიან საკომუნიკაციო სივრცეს.

გამომდინარე აქედან, განხილული დოკუმენტაციებისა და არსებული მექანიზმების გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დასტურდება ერთიანი საკომუნიკაციო არხების გამოყენება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგი (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი);
- IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგი;
- ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- კაბელიანი/უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგი;
- დაწესებულების პერსონალის ელ-ფოსტის მისამართების შემოწმების შედეგი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი;
- მატერიალური რესურსის გამოყენების წესი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

- პსდ-ს სერვისებისათვის გამიზნული, ერთიანი საკომუნიკაციო სისტემის არსებობისა და პროფესიული სტუდენტების და პერსონალისათვის ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი.

**5.2.2** პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 09 იანვრის #10 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“ . საქმისწარმოება კოლეჯში აგებულია ცენტრალიზაციის პრინციპით. მათ შორის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის WWW.EFLOW.EMIS.GE-ს საშუალებით. ამ ეტაპისთვის კოლეჯს იფლოუში რეგისტრირებული აქვს მხოლოდ ორი ანგარიში, დანარჩენი თანამშრომლებისთვის დავალებების გადაგზავა ხდება ელექტრონულ ფოსტაზე. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის საქმისმწარმოებელი. საქმისწარმოების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

წესის შესაბამისად საქმისმწარმოებლის მოავალეობაა: კოლეჯში შემოსული ყველა სახის დოკუმენტის რეგისტრაცია, პირველად დამუშავება, ელექტრონულ "pdf" ფორმატში გადაყვანა და ადრესატისათვის დაუყოვნებლივი გადაგზავნა; კოლეჯში მატერიალური სახით შემოსული დოკუმენტის დედანის შენახვა და საჭიროების შემთხვევაში მისი შემსრულებლისათვის წარდგენა; დოკუმენტების გაფორმების სისწორის კონტროლი; ელექტრონული დოკუმენტის ჩამოწერის (უზრუნველყოფა არსებობის შემთხვევაში). კოლეჯის მატერიალური და ელექტრონული დოკუმენტაციის დროული გაგზავნის უზრუნველყოფა; მატერიალურად გასაგზავნი დოკუმენტის ამობეჭდვა და საჭიროების შემთხვევაში მატერიალური ხელმოწერის უზრუნველყოფა; დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღისა, დოკუმენტების რეგისტრაცია და ადრესატებისათვის მიწოდება; საქმისწარმოების წესის აქტუალიზება, წესისა და მასში განხორციელებული ცვლილებების გაცნობა პერსონალისათვის; საარქივოდ საქმეთა მომზადება და გადაცემა საარქივო საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირისათვის; საქმეთა ნომეკლატურის პროექტის მომზადება და დასამტკიცებლად წარდგენა; სხვა ფუნქცია-მოვალეობების შესრულება რაც უზრუნველყოფს კოლეჯში საქმისწარმოების შეუფერხებელ და სწორ წარმართვას. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში საქმისწარმოება შეესაბამება ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნებს.**

*ექსპერტთა განმავითარებელი რეკომენდაციაა, Eflow-ს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში ანგარიში გაიხსნას კოლეჯის სხვა თანამშრომლებისთვისაც, რათა რევიზირება და დავალებების გაცემა გახდეს უფრო მოქნილი.*

2. დაწესებულება მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორიც არის, ვებგვერდი, რომლის საშუალებითაც ხდება დაინტერესებული პირებისთვის სხვადასხვა სახის ინფორმაციის გაცნობა, სოციალური გვერდი, დაწესებულების დომეინით რეგისტრირებული ოფიციალური ელექტრონული მისამართი, MS Office-ს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები, ელექტრონული ბიბლიოთეკა და სხვა. ამასთანავე, დაწესებულება იყენებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემას. დოკუმენტაციის ბრუნვის ელექტრონული სისტემა, უზრუნველყოფს კოლეჯში შემოსული, შესრულებული და შექმნილი დოკუმენტების ელექტრონულ მოძრაობას,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა სახის კორესპონდენცია იგზავნება და მიიღება ელექტრონულად. **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულების წარმომადგენელმა უზრუნველყო ექსპერტებისთვის ბაზაში შეტანილი ინფორმაციის ჩვენება, რომლის ფარგლებშიც გადამოწმდა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვის საკითხები კანონმდებლობით დადგენილი წესსა და ვადებთან მიმართებით, რისი გადამოწმების შედეგებიც დამაკმაყოფილებელია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შპს მარნეული სამედიცინო კოლეჯი მართვისას იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. კერძოდ, დაწესებულება იყენებს საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს შემოსული, შესრულებული და შექმნილი დოკუმენტების ელექტრონულ მოძრაობას. შემოსულ კორესპოდენციასთან დაკავშირებით ხდება უკუკავშირი, ინფორმაციის გაცვლა, განაცხადების შეტანა, რეკომენდაციების მიღება და ა. შ. აღნიშნული საკითხი შემოწმდა ასევე ვიზიტის ფარგლებში, პასუხისმგებელი პირის მიერ, მიღებული/გაგზავნილი ბოლო კორესპონდენციის ფარგლებში, რომლის შედეგებიც სრულად შეესაბამება აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოებისა წესი“ ;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა EFLOW.EMIS.GE (პროგრამული უზრუნველყოფა);
- მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია, გაგზავნილი ანგარიშები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

**5.2.3** პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების ვებგვერდია www.mscollege.ge, ხოლო სოციალური გვერდის მისამართი- FB-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

https://www.facebook.com/profile.php?id=100068820960070; დაწესებულების ვებგვერდი, ასევე სოციალური გვერდი ასრულებს საინფორმაციო საკომუნიკაციო ფუნქციას, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას გონივრულ დროში მოიძიოს ინფორმაცია დაწესებულებაში მიმდინარე ღონისძიებების, საგანმანათლებლო პროგრამების და სხვა . ვებგვერდზე გათავსებული ინფორმაციის კონტენტი ასახავს: დაწესებულების საქმიანობას, სიახლეებს, სტრუქტურას, მარეგულირებელ აქტებს, ადმინისტრაციის და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ ინფორმაცია, სტრატეგიული, სამოქმედო გეგმები და საბიბლიოთეკო რესურსები, წლიური ანგარიშები გაწეული საქმიანობის შესახებ, პარტნიორების ჩამონათვალი, დეტალური ინფორმაცია პროგრამის მოცულობის, ხანგრძლივობის, პარტნიორების, განხორციელების თავისებურებების შესახებ. ვებგვერდზე ასევე განთავსებულია სტუდენტის გზამკვლევი, ინფორმაცია სტუდენტური სერვისების შესახებ, სასწავლო ხელშეკრულების ნიმუში, ასევე კმაყოფილების კითხვარები, სტუდენტთა სოციალიზაციისა და ადაპტაციის მექანიზმები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების მისია ითვალისწინებს განახორციელოს საქართველოს სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო პროფილის საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადი სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება და ქვემო ქართლის რეგიონში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება და დასაქმება. შესაბამისად კოლეჯის მისიიდან გამომდინარე არ იკვეთება საერთაშორისო თანმაშრომლობის პრიორიტეტი, ვებგვერდი არის ქართულენოვანი. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას-დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას თვალი ადევნოს კოლეჯის ბაზაზე მიმდინარე სიახლეებს, დაინტერესების შემთხვევაში მოიძიოს უტყუარი ინფორმაცია მიმდინარე პროგრამების და ასევე განხორციელებული საქმიანობების შესახებ. ვებგვერდზე ასევე შესაძლებელია მიმდინარე სიახლეების, პროგრამების, სტუდენტებისთვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

მნიშვნელოვანი შეხვედრების და საინტერესო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიღება. დაწესებულება უზრუნველყოფს სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. აღნიშნულ ფუნქცია-მოვალეობებს ასრულებს კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.**დაწესებულების მიერ მომზადებული კატალოგი განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე, კატალოგი არის 2021 წლის , განახლებულია და მოიცავს ინფორმაციას კოლეჯის მისიის, მიზნების, ღირებულებების, საგანმანათლებლო, მომზადების და გადამზადების პროგრამების განხორციელების შესახებ. ვებგვერდზე განთავსებული კატალოგი დაინტერესებული მხარისთვის წარმოადგენს გონივრულ დროში ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის, ასევე საგანამანათლებლო პროგრამების შესახებ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.**პროგრამების კატალოგი იძლევა ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების განხორციელების შესახებ. კატალოგი ატვირთულია ვებგვერდზე https://www.mscollege.ge/images/files/pdf/samedicino-koleji-katalogi.pdf, როგორც პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუირებით და წინა წლების კატალოგების გადამოწმებით დასტურდება, დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს კატალოგში ცვლილებას და ყოველწლიურად აახლებს მას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.** დაწესებულების ვებგვერდი იძლევა შესაძლებლობას ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის მისი გაცნობის შემდეგ, დაინტერესების შემთხვევაში დაუკავშირდეს კოლეჯს. ვებგვერდის ქვემოთ მითითებულია საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა. შესაბამისად, დაინტერესების შემტხვეაში პირს აქვს მიწერის და უკუკავშირის შესაძლებლობა. ასევე ვებგვერდზე მიბმულია ელექტრონული ფორმით ადგილმდებარეობის რუკა. გარდა ვებგვერდისა, სოციალური გვერდი იმავე პრინციპით მუშაობს, არის ინფორმაციული და იძლევა უკუკავშირის და რეაგირების შესაძლებლობას. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ფეისბუქის გვერდის მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ უკუკავშირის საფუძველზე, მოხდა მომზადება გადამზადების პროგრამის ნაკადის შევსება, ასვე სწორედ ახალი ნაკადების მიღებისას პროფესიულ პროგრამებზე მსურველთა რაოდენობის უკუკავშირის საფუძველზე მოხდა ახალი ნაკადის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მართვა და დაკვალიანება ჩარიცხვის პროცედურასთან დაკავშირებით.**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პსდ-ს ქართულ ენაზე მოქმედი ვებგვერდი
- კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი
- ვებგვერდზე ნავიგაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გვერდზე ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი;
- ვებ-გვერდსა და სოც-ქსელის გვერდზე საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაცის, სიახლეების და ასევე პროგრამების კატალოგის დათვალიერების შედეგი;
- ვებ-გვერდზე განთავსებული პსდ-ს მისიის, საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამის სახელწოდებებისა და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების-შემოწმების შედეგი;
- ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის, დაწესებულების ანგარიშების, პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების, სასწავლო და დასაქმების შესაძლებლობების და სხვ. განთავსებული მონაცემების შემოწმების შედეგი

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

03.04.2023

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------